# ქვეითთა არტ პროექტი

## განცხადება

„იარე ფეხით“ იწვევს საქართველოში მოღვაწე დამოუკიდებელ არტისტებს "ქვეითთა არტ პროექტში" მონაწილეობის მისაღებად!

პროექტის ფარგლებში ღია კონკურსის საფუძველზე შეირჩევა სამი არტისტი, რომლებსაც საშუალება მიეცემათ განათავსონ თავიანთი ნამუშევრები თბილისის ქუჩებში, სამ სხვადასხვა საფეხმავლო ლოკაციაზე. პროექტი განხორციელდება თბილისის მერიისა და შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით.

**ორგანიზაცია:** ააიპ "იარე ფეხით"

"იარე ფეხით" არის ორგანიზაცია, რომელიც, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, მხარს უჭერს ფეხით სიარულს საქართველოს ქალაქებში, ცდილობს დაიცვას ქვეითთა უფლებები და იმედოვნებს, რომ შეძლებს ხელისუფლების დარწმუნებას, როგორც მუნიციპალურ ისე ეროვნულ დონეზე, უკეთესი პოლიტიკა გაატაროს ამ კუთხით.

"ქვეითთა არტ პროექტის" მთავარი მიზანია შეიქმნას საზოგადოებრივი სივრცის ალტერნატიული გამოყენების პრეცედენტები თბილისის ქუჩებში. ჩვენ საშუალებას ვაძლევთ ადგილობრივ არტისტებს, თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ პროცესში. პროექტის საბოლოო პროდუქტებს შორის წარმოდგენილი იქნება 3 არტ პროექტი (ინსტალაცია). გამარჯვებული არტისტები შეძლებენ თავიანთ ნამუშევრებზე საუბარს პროექტის ფარგლებში დამზადებულ ვიდეო რგოლებში. მაქსიმალურად ხელი შეეწყობა გაბედული, მაპროვოცირებელი და აქტუალური ნამუშევრების განთავსებას.

ჩვენი სურვილია წავახალისოთ ფეხით სიარულის კულტურა, როგორც გადაადგილების უპირველესი, ყველაზე ეფექტური, ხელმისაწვდომი, ჯანსაღი, გარემოსდაცვითი და საზოგადოებაზე ორიენტირებული ფორმა. ხელოვნების მეშვეობით ჩვენ გარდავქმნით ქვეითთა სივრცეს და კრეატიული ვიზუალით ვეხმაურებით ჩვენი საზოგადოების რეალურ ინტერესებს.

**არტისტები**
პროექტი ღიაა საქართველოში მოღვაწე ყველა პროფესიონალი და მოყვარული არტისტისთვის. შესაძლებელია ერთი პროექტი წარმოადგინოს არტისტების ჯგუფმა, თუმცა ამ შემთხვევაში, ერთ პროექტზე გათვალისწინებული მაქსიმალური თანხა და ჰონორარი არ შეიცვლება. არტისტებს უნდა შეეძლოთ დაასრულონ სამუშაო და ითანამშრომლონ ორგანიზაციის გუნდთან მოცემულ ვადებში. თვითოეული აპლიკანტის მიერ შემოტანილი განაცხადებების რაოდენობა არ არის შეზღუდული.

**არტ პროექტები**
ურბანისტული ინსტალაციები უნდა აკმაყოფილებდეს მოცემულ მოთხოვნებს: მონაწილეობის მსურველმა არტისტებმა ან არტისტების ჯგუფებმა უნდა შექმნან ორიგინალური, ფუნქციურად-ინტეგრირებული დიზაინი, რომელიც გააუმჯობესებს მოცემული სივრცეების აღქმადობას და შესძენს მათ დამატებით მნიშვნელობას. ხელოვნების ნიმუშები უნდა ატარებდეს განმეორებით ეფექტს, ანუ უქმნიდეს ვიზუალურ ინტერესს იმ ადამიანებს, რომლებიც ელოდებიან ტრანსპორტს, კვეთენ ქუჩებს და ასე შემდეგ. წარმოდგენილი პროექტი უნდა ეხმიანებოდეს იმ აქტივობას, რომლისთვისაც განკუთვნილია კონკრეტული სივრცე და არ იყოს დამაბნეველი ან ყურადღების გამფანტველი გადაადგილებისას, გზის ძიებისას, არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას ადგილობრივი სატრანსპორტო სისტემებისთვის და არ უქმნიდეს საფრთხეს არსებულ ბუნებრივ გარემოს. სასურველია, პროექტები ხაზს უსვამდეს ქვეითთა კონკრეტულ აქტივობას, პრობლემას ან დაბრკოლებას. არტისტმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გარემო პირობების გავლენა ნამუშევარზე და უზრუნველყოს მისი გამძლეობა. შემოტანილ და გამარჯვებულ პროექტებზე საავტორო უფლებები შეუნარჩუნდებათ მონაწილე არტისტებს.

**ბიუჯეტი**
თვითოეული არტ პროექტის დამზადებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ბიუჯეტია 1,000 ლარი. ბიუჯეტი ითვალისწინებს სამუშაოს შესრულების ყველა ხარჯს: მასალების, მათი ტრანსპორტირების, დანადგარების ქირაობის, ბეჭდვის და ნამუშევრის სამონტაჟო ელემენტების ხარჯებს. ეს ყოველივე დეტალურად უნდა იქნას აღრიცხული და განმარტებული აპლიკაციაში. ინსტალაციების სამონტაჟო სამუშაოების დამატებით ხარჯების დაფარავს ორგანიზაცია "იარე ფეხით", თუმცა მათი დაანგარიშება სავალდებულოა ყველა აპლიკანტისთვის (ბიუჯეტის ბოლოს).

**გამარჯვებული**
პროექტის ფარგლებში გამოვლინდება 3 გამარჯვებული დიზაინი, რომელთა ავტორებიც მიიღებენ მოთხოვნილ დაფინანსებას (1,000 ლარის ფარგლებში). შესაბამისი ანგარიშგების წარმოდგენისა და სამუშაოს დასრულების შემდეგ, თვითოეული გამარჯვებული დაჯილდოვდება 1,000 ლარის ოდენობის ჰონორარით.

**ლოკაციები**
ჩვენ ვთანამშრომლობთ თბილისის მერიის სხვადასხვა სამსახურებთან და შუამდგომლობას ვუწევთ მონაწილე არტისტებს ლოკაციებზე ნამუშევრების განთავსების ტექნიკურ და იურიდიულ საკითხებში. თბილისის მერიის ადმინისტრაციასთან წინასწარი მოლაპარაკებების შედეგად, შერჩეულია შემდეგი სამი ლოკაცია:

1) უნივერსიტეტის ქუჩა 2
2) პეკინი მიცკევიჩის კუთხე II
3) ვაკის პარკი

1) **უნივერსიტეტის ქუჩა 2**, 0179 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეათე კორპუსის მიმდებარე სტუდენტური სივრცე. ნაკვეთზე ინსტალაციის მაქსიმალური დასაშვები ზომებია: 3 X 4 მეტრი, სიმაღლე არ არის შეზღუდული.

(ნაკვეთის კოორდინატები: 41.717724, 44.720489)

ინსტალაციის სამონტაჟო სამუშაოს არტისტთან ერთად, უხელმძღვანელებს "იარე ფეხით".

მოცემული სივრცე შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა საგანმანათლებლო ფუნქციის მატარებელი ან კონკრეტული გამოყენებითი დატვირთვის მქონე ნამუშევრის შესაქმნელად. უპირატესობა მიენიჭება ავტორს, რომელიც სივრცის ყველაზე კრეატიულ გადაწყვეტას შემოგვთავაზებს და გაითვალისწინებს სამიზნე ჯგუფის ინტერესებს, ნამუშევრის კონცეფციის განვითარებისას.



2) შემინული ბილბორდი, **პეკინი მიცკევიჩის კუთხე II**, ქვეითთა ზებრა გადასასვლელის მიმდებარე კუნძულზე. ბილბორდზე განსათავსებელი ვიზუალის ზომაა: 2.77 X 3.80 მეტრი.
(ობიექტის კოორდინატები: 41.724492, 44.770972)
სამონტაჟო სამუშაოს არტისტთან ერთად, უხელმძღვანელებს "იარე ფეხით" და კომპანია outdoor.ge




კონსტრუქცია საშუალებას იძლევა განათავსოთ ერთი სტატიური ან ორი მოძრავი გამოსახულება, რომლებიც თანმიმდევრულად შეცვლის ერთმანეთს. ბილბორდზე დატანილი ნებისმიერი წარწერა უცხო ენაზე, მინიმუმ იმავე ზომის შრიფტით უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზეც. ნამუშევარი შესაძლებელია იყოს ხელით შესრულებული ან დაბეჭდილი. ინსტალაციის მიზნებისთვის ასევე შესაძლებელია ბილბორდის ექსტერიერის და უკანა ფასადის გამოყენება, თუმცა ნებართვა არ გაიცემა ინსტალაციაზე, რომელიც ბილბორდის დაზინებას ან მისი ძირითადი სტრუქტურის შეცვლას მოითხოვს. ხარჯთაღრიცხვაში მისათითებელი ერთი ბილბორდის ბეჭდვის საფასური წარმოადგენს საშუალოდ $120 დოლარს, ორი ბილბორდის ბეჭდვის საფასური შესაბამისად $240 დოლარს (მიუთითეთ ეროვნულ ვალიუტაში). ნამუშევრის დამონტაჟებას არტისტთან ერთად უხელმძღვანელებს "იარე ფეხით". პლაკატის ან ფოტო ნამუშევრის შემთხვევაში აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ორგანიზაციის "იარე ფეხით" ლოგო.
ჩამოტვირთეთ სამუშაო ფაილი, ზუსტი ზომებით.

3) ვაკის პარკი

მანქანებით თუ კერძო ინვესტორებით „ოკუპირებული“ მოცემული საზოგადოებრივი სივრცე, მწვანე საფარის გაჩეხვის გარდა, წარუმატებელი ვიზუალური ექსპერიმენტების მსხვერპლიც გახდა, რაც არამხოლოდ მის ფუნქციურ დანიშნულებას, არამედ იერსახესაც დიდ საფრთხეს უქმნის.

არტისტებს ეძლევათ თავისუფლება, საკუთარი პროექტის კონცეფციიდან გამომდინარე შეარჩიონ კონკრეტული ლოკაცია პარკში, შეუსაბამონ პროექტი პარკის ლანდშაფტს და მის დატვირთვას. ზომა არ არის შეზღუდული, თუმცა ნამუშევარი კომპოზიციურად უნდა ჯდებოდეს შერჩეულ სივრცეში. *(გარდა საფეხმავლო ბილიკებისა და კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიებისა, რომლებიც მოცემულ რუკაზე წითლადაა აღნიშნული).* ინსტალაციის სამონტაჟო სამუშაოს არტისტთან ერთად, უხელმძღვანელებს "იარე ფეხით".



**სააპლიკაციო პროცესი**

ორგანიზაცია "იარე ფეხით" მართავს ელექტრონულ სააპლიკაციო პროცესს. განაცხადები მიიღება ელ-ფოსტაზე და უნდა მოიცავდეს პროექტის წერილობით აღწერას, ბიუჯეტს და ვიზუალურ მასალებს, რომლებიც ზუსტად წარმოაჩენს პროექტის წინასწარ კონცეფციას და არტისტის მიდგომას. აპლიკაციებს განიხილავს კომპეტენტური ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ ორგანიზაციის "იარე ფეხით" წევრები, პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები, ურბანისტები, არტისტები და საზოგადოებრივი სივრცის დამცველები. ყველა მონაწილე ვალდებულია დეტალურად გაეცნოს მოცემულ განაცხადს, მის პირობებს და წარმოადგინოს სრული სააპლიკაციო ფორმა.

**სააპლიკაციო ფორმის გადმოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი ბმულიდან.**
აპლიკაციის გადმოსატვირთად ბმულის ზედა მარჯვენა კუთხეში დააჭირეთ download-ს.

აპლიკაციები მიიღება ელექტრონულად მისამართზე: iarepekhit@gmail.com
მიუთითეთ სათაური: აპლიკაცია ქვეითთა არტ პროექტი - თქვენი სახელი, გვარი
აპლიკაციების მიღების ბოლო ვადაა: სამშაბათი, 20 მაისი, 2014, 00:00

**პროექტის წინასწარ გასაზღვრული გეგმა (მოქნილი)**

ღია კონკურსის გამოცხადება: 24 აპრილი, 2014
საპროექტო განაცხადების მიღების *ბოლო ვადა:* 20 მაისი, 2014
გამარჯვებული პროექტების გამოცხადება: 28 მაისი, 2014
სამუშაოს შესრულების ბოლო ვადა: 26 ივნისი, 2014
ინსტალაიცების დამონტაჟება: 27 ივნისი - 1 ივლისი, 2014

ინსტალაციები გამოფენილი იქნება თბილისის ქუჩებში 31 ივლისის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაციისთვის, მოგვმართეთ წერილობით ელ-ფოსტაზე:
iarepekhit@gmail.com ან პირადი შეტყობინებით Facebook - ზე

მადლობას გიხდით დაინტერესებისთვის და
გისურვებთ წარმატებას!